

შპს „სტადიონს“ (ს.კ.:445409415)

შპს „მშენებელთა კავშირი - ნიკოლოზ ბოკუჩავას“
(ს.კ.: 401944090 ქ. თბილისი, გოგოლის ქ. N 1)

შპს „ოიკო ჯგუფის“ (ს.კ.: 205001166; ქ. თბილისი,
კონსტანტინე კაპანელის ქ., N 14.)

შპს „ტრიჯიტის“ (ს.კ.: 205287018; ქ. თბილისი,
ვაჟაფშაველას გამზ., №2, ბინა 38)

ადმინისტრაციული საჩივარი

თბილისი

16 აპრილი, 2018

მოგახსენებთ, რომ ვასაჩივრებთ შპს „სტადიონის“ (ს.კ.:445409415) სატენდერო კომისიის 2018 წლის 11 აპრილის N3-3 სხდომის ოქმს (ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში), როგორც გადაწყვეტილებას, რომელიც აწესებს პირის უფლება-მოვალეობებს და წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

შპს „სტადიონის“ მიერ ქალაქ ბათუმში, მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 05.27.05.027) 20000 მაყურებელზე გათვლილი სტადიონის სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში აუქციონის გარეშე, განცხადების ნომრით NAT180003386 (შემდგომში — ტენდერი), მონაწილეობა მიიღო შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯიამ“.

შპს „სტადიონის“ სატენდერო კომისიის 2018 წლის 30 მარტის სხდომის ოქმი N3-2-ით, პრეტენდენტს მოეთხოვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარმოდგენილი დოკუმენტაციის დაზუსტება, რადგან ცალსახად ვერ დასტურდებოდა პრეტენდენტისა და მისი პერსონალის სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი გამოცდილება.

2018 წლის 4 აპრილს, შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯიამ“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში ატვირთა პრეტენდენტისა და მისი პერსონალის გამოცდილების დამადასტურებელი დაზუსტებული დოკუმენტაცია.

შპს „სტადიონის“ სატენდერო კომისიის 2018 წლის 11 აპრილის N3-3 სხდომის ოქმით დადგინდა, რომ შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია / დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება სატენდერო პირობებს და პრეტენდენტი გამოვლინდა გამარჯვებულად. შესაბამისად, შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯიას“ მოეთხოვა სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

გაცნობებთ, რომ შპს „ოიკო ჯგუფის“, შპს „ტრიჯიტი“ და შპს „მშენებელთა კავშირი - ნიკოლოზ ბოკუჩავას“ წარმოადგენენ საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის ბაზარზე მრავალწლიანი გამოცდილების მქონე კვალიფიციურ ორგანიზაციებს. მათ განხორციელებული აქვს ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება არაერთ მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტზე საქართველოში, მათ შორის — სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში. წინამდებარე ტენდერში, აღნიშნულმა კომპანიებმა მონაწილეობა არ მიიღეს, ვინაიდან ჩათვალეს, რომ სრულად ვერ აკმაყოფილებდნენ გამოცდილებასთან დაკავშირებულ გარკვეულ სატენდერო პირობებს. თუმცა მიგვაჩნია, რომ შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯია“, რომელსაც ტექნიკური ზედამხედველობის სფეროში წარმოდგენილ კომპანიებზე გაცილებით ნაკლები გამოცდილება აქვს (უფრო სწორად, თითქმის არ აქვს ასეთი გამოცდილება), აღნიშნულ სატენდერო პირობებს მით უმეტეს ვერ აკმაყოფილებს, რაც მის მიერ

წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციითაც აშკარად ირკვევა და შესაბამისად, მისი გამარჯვებულად გამოვლენა სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის დარღვევით მოხდა.

საგულისხმოა, რომ პრეტენდენტის ძირითად საქმიანობას, მისივე ვებ-გვერდის მიხედვით წარმოდგენს: საბროკერო, საინვესტიციო, უძრავი ქონების მართვის, კორპორაციული გადაწყვეტილებების, პროექტების მართვის, ბაზრის კვლევის, აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურებები. **ჩამონათვალში არ გვხვდება მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობა.**

განმცხადებლებმა შეისწავლეს შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია და აღმოაჩინეს მთელი რიგი შეუსაბამოებები მის მიერ წარმოდგენილ გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტებსა და სატენდერო პირობებს შორის. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დარღვევები, შეუსაბამოებები და დოკუმენტთა სავარაუდო სიყალბეც კი, მხოლოდ ზედაპირული შესწავლის შედეგად აღმოჩნდა. დოკუმენტაციის დეტალური შესწავლის შედეგად სავარაუდოდ ბევრად მეტი მსგავსი დარღვევა გამოვლინდება.

აღვნიშნავთ, რომ ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების პროცესი მკაფიოდ არის განმარტებული საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებით. რაც შეეხება პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულებებს, ისინი განსაზღვრავენ მომსახურების სრულიად სხვა სახეს, კერძოდ მშენებლობის მიმდინარეობის მონიტორინგს, რომელიც წარმოდგენს მშენებლობის ფინანსური ნაწილისა და ვადების მონიტორინგს და საერთოდ არ არის დაკავშირებული მშენებლობის ტექნიკურ ნაწილთან.

კერძოდ, შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილ პრეტენდენტის გამოცდილების დამადასტურებელი შვიდი ხელშეკრულებიდან ყველა გარდა ერთისა, ეხება მშენებლობის არა ტექნიკურ ზედამხედველობას, არამედ ფინანსურ მონიტორინგს. აღნიშნული აშკარად ჩანს ხელშეკრულებების შინაარსიდან.

გვსურს ხაზი გავუსვათ, რომ ზემოაღნიშნული აგრეთვე ლოგიკურად დასტურდება მომსახურების ფასიდან გამომდინარე: აღნიშნულ ხელშეკრულებებში, მონიტორინგის მომსახურების ფასები მერყეობს სამშენებლო სამუშაოების ღირებულებების 0,15%-დან 0,44%-მდე, რაც მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურებისთვის, საქართველოს ბაზრის პირობებშიც კი, შეუსაბამოდ დაბალი ღირებულებაა. თავად შემსყიდველმაც, სახელმწიფო შესყიდვა გამოაცხადეთ სავარაუდო ღირებულებით 3,5 მილიონი ლარი, რაც სამშენებლო სამუშაოების ღირებულების 3,5%-ს შეადგენს.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი 7 ხელშეკრულებიდან სამშენებლო ზედამხედველობის განხორციელებას ერთადერთი ხელშეკრულება ეხება (შპს „ლოპოტასთან“ გაფორმებული). აგრეთვე ლოგიკურია აღნიშნული მომსახურების საფასურიც, რომელიც სამშენებლო სამუშაოების ღირებულების 4%-ს შეადგენს.

ზემოაღნიშნულის შედეგად, შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, დასტურდება დაახლოებით 4 მილიონი ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის გამოცდილება, ნაცვლად სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი 132 მილიონისა.

სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N4-ის მიხედვით, პროექტის მენეჯერს, ინჟინერს, ინჟინერს წყალმომარაგებისა და წყალარინების სფეროში, ინჟინერ-ელექტრიკოსს, ინჟინერს გათბობა-ვენტილაცია-კონდენცირების სფეროში, ხარისხის კონტროლის ოფიცერს დაუსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ოფიცერს უნდა გააჩნდეთ სავალდებულო გამოცდილება ობიექტის ტექნიკური ზედამხედველობის კუთხით. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ 5 თანამშრომელზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით ცალსახად არ დასტურდება მათ მიერ ობიექტის ტექნიკური ზედამხედველობის გამოცდილების ქონა:

N	სპეციალისტი	არგუმენტაცია გამოცდილების აქრონასთან დაკავშირებით
1	ჯავიდ ნაჯაფოვი — პროექტის მენეჯერი	აღნიშნულ ორ სპეციალისტთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (შრომითი ხელშეკრულებები და წერილები დამსაქმებელთაგან) განსაზღვრული ფუნქციები და უფლება-მოვალეობები არ მოიცავს ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელებას.
2	თურალ რამაზანოვი — პროექტის ინჟინერი	წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სპეციალისტს ტექნიკური
3	ზურაბ ზურაბაშვილი —	წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სპეციალისტს ტექნიკური

	გათბობა-კონდენცირება-ვენტილაციის სპეციალისტი	ზედამხედველობა შესრულებული აქვს <u>იმ ორგანიზაციის (შპს „ფრემ ეარი“), მიერ შესრულებულ სამუშაოებზე, რომლის წილის 70%-ის მფლობელი და დირექტორიც თავად არის</u> , რაც საქართველოს კანონმდებლობის დარღვევას და ინტერესთა შეუთავსებლობას წარმოადგენს. შესაბამისად, გამოცდილების შეფასებისას, შემსყიდველის მიერ მხედველობაში არ უნდა ყოფილიყო მიღებული. საგულისხმოა, რომ შპს „ფრემ ეარი“ მისივე ვებ-გვერდის მიხედვით წარმოადგენს საპროექტო-სამშენებლო ორგანიზაციას
4	ვასილ სოსელია — ინჟინერ-ელექტრიკოსი	პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ვასილ სოსელიას <u>ერთსა და იმავე ობიექტზე ერთდროულად განხორციელებული ჰქონდა როგორც დაგეგმვისა და ქსელის მოწყობის სამუშაოები, ასევე ტექნიკური ზედამხედველობა</u> , რაც საქართველოს კანონმდებლობის დარღვევას და ინტერესთა შეუთავსებლობას წარმოადგენს. სატენდერო კომისიის 2018 წლის 30 მარტის N3-2 ოქმის 4.3 პუნქტის შესაბამისად, პრეტენდენტმა დაზუსტებულ დოკუმენტაციაში შეცვალა ინფორმაცია და <u>მხოლოდ ტექნიკური ზედამხედველობა</u> მიუთითა. აღნიშნული ფაქტი აშკარად ბადებს პირველ ან მეორე დოკუმენტში მიზანმიმართული სიცრუისა და სიყალბის ჩაწერის ეჭვს, რადგან ადგილი გვაქვს არა ინფორმაციის დაზუსტებასთან, არამედ <u>ორი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის წარმოდგენასთან</u> .
5	გელა ქვეციშვილი — წყალმომარაგებისა და წყალარინების სპეციალისტი	სპეციალისტის გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტაციაში ზუსტად იგივე სახის <u>ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები</u> იკვეთება, რაც ვასილ სოსელიას შემთხვევაში. განსხვავებულია მხოლოდ დოკუმენტის გამცემი ორგანიზაცია (შპს „ფრემ ეარი“ საპროექტო-სამშენებლო ორგანიზაცია). შესაბამისად, აღნიშნული ფაქტი კიდევ უფრო ამძაფრებს პრეტენდენტის მიერ (მისი პარტნიორი კომპანიების დახმარებით) დოკუმენტებში მიზანმიმართული სიცრუისა და სიყალბის ასახვის ეჭვს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ცალსახად ირკვევა, რომ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის/დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით ვერ დასტურდება ვერც პრეტენდენტის და ვერც სპეციალისტების გამოცდილება, რაც მოთხოვნილი იყო სატენდერო პირობებით. აღნიშნული, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, წარმოადგენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის საფუძველს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საგულისხმოა შემდეგი ფაქტი: ივანე ცაგურია, რომელიც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ თავდაპირველ დოკუმენტაციაში ერთ-ერთი სპეციალისტის — ვასილ სოსელიას გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტებს დამსაქმებლის სახელით შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე აწერს ხელს (რის გამოც დაზუსტებულ დოკუმენტაციაში ხელმომწერად სხვა პირი გვევლინება) ამავედროულად წარმოადგენს შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯიას“ 16,66%-ის წილის მფლობელს.

მოგახსენებთ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ შპს „ოიკო ჯგუფის“, შპს „ტრიჯიტის“ და შპს „მშენტექზედამხედველი - ნიკოლოზ ბოკუჩავას“ ინტერესებზე და იმაზე, თუ რატომ არღვევს აღნიშნული აქტი ჩვენი ორგანიზაციის უფლებებს:

გაცნობებთ, რომ შპს „ოიკო ჯგუფი“, შპს „ტრიჯიტი“ და შპს „მშენტექზედამხედველი - ნიკოლოზ ბოკუჩავა“ წარმოადგენენ საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის ბაზარზე მრავალწლიანი გამოცდილების მქონე კვალიფიციურ ორგანიზაციებს. შპს „სტადიონის“ მიერ გამოცხადებული ტენდერის გაცნობის შემდეგ, აღნიშნულმა კომპანიებმა მიიღეს გადაწყვეტილება, არ მიეღოთ მონაწილეობა აღნიშნულ ტენდერში, რადგან ჩათვალეს, რომ გამოცდილების ნაწილში სრულად ვერ აკმაყოფილებდნენ შემსყიდველის მოთხოვნებს. მიუხედავად ამისა, სატენდერო პირობებით მოთხოვნილი გამოცდილება (როგორც პრეტენდენტის, ასევე სპეციალისტების), აღნიშნულ კომპანიებს ბევრად უფრო მეტი აქვთ (რისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია გვაქვს), ვიდრე ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს, რომელიც მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის სფეროში ფაქტობრივად არც მოღვაწეობს.

იმისთვის, რომ პირი კონკრეტულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან მიმართებაში დაინტერესებულ პირად ჩაითვალოს (მათ შორის ადმინისტრაციული საჩივრის მიზნებისთვის), აუცილებელი არ არის, რომ ეს აქტი სწორედ მის უფლებებს ან ვალდებულებებს ადგენდეს. დაინტერესებული პირის განმარტებისთვის უნდა გავითვალისწინოთ ყოველი კონკრეტული გარემოება, ამ შემთხვევაში ისიც კი, თუ რა გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული, ტენდერში მონაწილეობა ამ კომპანიებსაც რომ მიეღოთ და ის, თუ რა შედეგი შეიძლება დადგეს მათთვის გასაჩივრებული აქტის სამართლიანად ბათილად ცნობისა და შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯიას“ სამართლიანად დისკვალიფიკაციის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ რეალურად ირღვევა შპს „ოიკო ჯგუფის“, შპს „ტრიჯიტის“ და შპს „მშენებეზედამხედველი - ნიკოლოზ ბოკუჩავას“ ინტერესები შემდეგ გარემოებათა გამო:

1. შპს „ოიკო ჯგუფმა“, შპს „ტრიჯიტმა“ და შპს „მშენებეზედამხედველი - ნიკოლოზ ბოკუჩავამ“, კეთილსინდისიერების დაცვით არ მიიღეს მონაწილეობა ტენდერში მაშინ, როდესაც მასში მონაწილეობა მიიღო გამოცდილების არმქონე შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯიამ“, რომელიც არაკეთილსინდისიერად მოქმედებს და ისეთ დოკუმენტებს წარადგენს, რომელიც მისი წინასწარი შეცნობითვე არ ადასტურებენ მისი და მისი სპეციალისტების გამოცდილებას;
2. იმ შემთხვევაში, თუკი სამართლიანად მოხდება გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობა და შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯიას“ დისკვალიფიკაცია, სავარაუდოა, რომ შემსყიდველი ხელმოკრედ გამოაცხადებს ტენდერს მცირედით შეცვლილი (ბაზარზე უფრო მეტად მორგებული) სატენდერო პირობებით, რა შემთხვევაშიც შპს „ოიკო ჯგუფს“, შპს „ტრიჯიტს“ და შპს „მშენებეზედამხედველი - ნიკოლოზ ბოკუჩავას“ შესაძლოა საშუალება მიეცეს, მიიღოს მონაწილეობა ტენდერში, დააკმაყოფილოს სატენდერო პირობები და სამართლიანად გაიმარჯვოს.

ის ფაქტი, რომ შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯიამ“ წინასწარი შეცნობით წარმოადგინა ისეთი დოკუმენტები, რომლებიც არ ადასტურებენ მოთხოვნილ გამოცდილებას, ერთი მხრივ ხაზს უსვამს კომპანიის არაკეთილსინდისიერებას და მეორე მხრივ სერიოზული რისკის წინაშე აყენებს რამდენიმე ათეულ მილიონიან, სახელმწიფო მნიშვნელობის მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტს. მსგავსი მნიშვნელობისა და მასშტაბის პროექტზე სათანადო გამოცდილების არმქონე (ამასთან არაკეთილსინდისიერი) ორგანიზაციის მიერ მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება ეჭვქვეშ აყენებს მშენებლობის სრულყოფილად, პროექტისა და ტექნიკური ნორმების შესაბამისად განხორციელებას და რაც მთავარია, აჩენს ობიექტის ექსპლუატაციის განმავლობაში სხვადასხვა სირთულისა და საშიშროების პრობლემების გაჩენის რისკებს. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივრის მიღებისთანავე, შპს „სტადიონმა“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, უნდა შეაჩეროს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება (ანუ უნდა გადაიდოს პრეტენდენტის მიერ უფლებრივი მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაციის წარმოდგენა / პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმება). სწორედ ზემოაღნიშნულის დიდი მნიშვნელობისა და რისკებიდან გამომდინარე, არ უნდა იქნას გამოყენებული 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის არცერთი ქვეპუნქტი, მიუხედავად იმისა, რომ სატენდერო კომისიის N3-3 სხდომის ოქმი აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენს. აქვე აღვნიშნავთ შემდეგს: ფაქტი, რომ კომპანია წინასწარ შეცნობით მოქმედებდა (ანუ სრულად გააზრებული ჰქონდა არასწორი და არასაკმარისი დოკუმენტაციის წარმოდგენის ფაქტი), აშკარაა იმდენად, რამდენადაც აზრსმოკლებული და არალოგიკურია, რომ საკონსულტაციო სფეროში მსგავსი გამოცდილების მქონე ორგანიზაციას შეცდომით ვერ გაერჩია საკონსულტაციო-სამზედამხედველო მომსახურება მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურებისაგან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები“. ვინაიდან ზემოაღნიშნული ოქმი გამოიგა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების დარღვევით, იგი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, წარმოადგენს ბათილ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. შესაბამისად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ ის ბათილად უნდა ცნოს.

გასაჩივრებულ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ აქტთან მიმართებაში, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში საჩივრის შეტანის შესაძლებლობას არ იძლევა სახელმწიფო

შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 8 თებერვლის N1 ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, თუმცა ამგვარი შეზღუდვის რეალური მიზანი გამომდინარეობს დავების განხილვის საბჭოში საქმეთა ზედმეტი ნაკადისა და უსაფუძვლო საჩივრების ჭარბი რაოდენობის თავიდან აცილების მიზნიდან. აღნიშნული ნორმა არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს რაიმე ფორმით იზღუდებოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული გასაჩივრების უფლება და მით უმეტეს — საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილი (ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენამდე ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის ვალდებულება). აღნიშნულ პოზიციას ამყარებს ისიც, რომ კანონი (ამ შემთხვევაში — კოდექსები) კანონქვემდებარე აქტზე უპირატესი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტია.

შესაბამისად, შპს „ოიკო ჯგუფს“, შპს „ტრიჯიტის“ და შპს „მშენებეჭედამხედველი - ნიკოლოზ ბოკუჩავას“ სრული უფლება აქვს, გაასაჩივროს სატენდერო კომისიის N3-3 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მოვითხოვთ:

1. ბათილად იქნას ცნობილი შპს „სტადიონის“ (ს.კ.:445409415) სატენდერო კომისიის 2018 წლის 11 აპრილის N3-3 სხდომის ოქმი (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტი);
2. განხორციელდეს შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯიას“ დისკვალიფიკაცია აუქციონისგარეშე ელექტრონული ტენდერიდან განცხადების ნომრით NAT180003386.

შპს „მშენებეჭედამხედველი - ნიკოლოზ ბოკუჩავას“ დირექტორი		ნიკოლოზ ბოკუჩავა
შპს „ოიკო ჯგუფის“ გენერალური დირექტორი		გიორგი ამალლობელი
შპს „ტრიჯიტის“ დირექტორი საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი		თამაზ თვალავაძე
შპს „ტრიჯიტის“ ექსპერტი საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი		გიორგი დოლმაშვილი
შპს „ოიკო ჯგუფის“ ექსპერტი საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი		გია ჩიხლაძე